ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი სამეგრელოს რეგიონში

ლადო გრიგოლია

ელ-ფოსტა: ladogrigolia2@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179, თბილისი, საქართველო

საქართველოს უნიკალური და მრავალფეროვანი ბუნების, უხვი რესურსული პოტენციალით მდიდარ რეგიონებს შორის სამეგრელოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ადგილი აქვს დამკვიდრებული. ამიტომ, ამ რეგიონის დეტალური შესწავლა, მისი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოვლენა და მიღებული შედეგების პრაქტიკაში რეალიზაცია სახელმწიფოს ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

ნაშრომში განხილულია სამეგრელოს რეგიონის ბუნებრივი პირობები(გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, ჰავა, ჰიდროგრაფია, ნიადაგსაფარი, მცენარეული საფარი, ლანდშაფტები). ასევე შეფასებულია კლიმატური-სითბური, წყლის, ქარისა და მზის ენერგეტიკული, საკურორტო-რეკრეაციული, აგრო და ნიადაგ-კლიმატური, ჰიდროლოგიური და ტყის რესურსების პოტენციალი. მოხსენებაში გაჟღერებული საკვანძო საკითხები პირდაპირ კავშირშია ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, საკურორტო მეურნეობის და საერთოდ მთლიანი რეგიონის მდგრადი განვითარების პროცესთან.